„ირიბი ჩვენება და მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში“

ზაზა ჯიქია

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის პროგრამაზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი,პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ზაზა ჯიქია

23.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება მნიშვნელოვან სამართლებრივ თემას — კერძოდ, ირიბი ჩვენებების ცნებასა და მათ გამოყენების სპეციფიკას საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში. 2015 წლის 22 იანვრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შესაძლებელს ხდიდა ირიბი ჩვენებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, მართლმსაჯულების სისტემაში არაერთი სამართლებრივი გაუგებრობა გამოიწვია. შედეგად, ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებები საფუძველს მოკლებულია.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი მიზანია, მკაფიოდ წარმოაჩინოს არსებული პრობლემის აქტუალობა და შეაფასოს მისი ზეგავლენა მართლმსაჯულების შედეგებზე. კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თემის სიღრმისეულ ანალიზს. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ტექსტის მიმოხილვითი, ანალიტიკური, კრიტიკული და კონცეპტუალური შეფასების მეთოდები, რაც აუმჯობესებს კვლევის საფუძვლიანობასა და მეცნიერულ ღირებულებას.

სასამართლო პრაქტიკის გაანალიზებისა და მისი შედარების შედეგად უცხოურ გამოცდილებასთან, უფრო ნათლად გამოიკვეთა ირიბი ჩვენების არსი და ის მნიშვნელობა, რომელიც მას აკისრია სასამართლო პროცესში. აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობაში არ არის ზუსტად განსაზღვრული მისი გამოყენების ფარგლები, პრაქტიკაში ჩნდება სერიოზული პრობლემები, რაც იწვევს ინტერპრეტაციის სირთულეებს და შესაძლოა, სამართლებრივი უსამართლობის საფრთხესაც კი.

ამ საფუძველზე, ნაშრომი მკითხველს სთავაზობს კონკრეტულ ხედვას იმაზე, თუ როგორ შეიძლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად და ეფექტურად აისახოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მასში შემოთავაზებულია კონკრეტული სამართლებრივი მოდელი, რომელიც გათვალისწინებულია არსებული ხარვეზების გარეშე. აღნიშნული რეკომენდაცია მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და იურიდიული პრაქტიკის ჰარმონიზაციას.

საძიებო სიტყვები: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება; ირიბი ჩვენება; ირიბი ჩვენების არსი;

Abstract

This master's thesis explores a significant legal issue within the framework of Georgia's criminal procedure — specifically, the concept of hearsay evidence and the peculiarities of its application. On January 22, 2015, the Constitutional Court of Georgia declared unconstitutional those procedural norms that allowed for a conviction to be based solely on hearsay evidence. This ruling led to considerable ambiguity and inconsistent interpretations in judicial practice, which, in some instances, resulted in unfounded court decisions.

In light of these developments, the primary aim of this research is to highlight the relevance of the issue and assess its impact on the outcomes of criminal justice. The study employs a variety of methodological approaches that enable a thorough examination of the topic. These include textual analysis, critical evaluation, comparative methods, and conceptual frameworks — all of which contribute to the academic rigor and credibility of the research.

Through an analysis of domestic case law and a comparison with foreign legal practices, the research provides a clearer understanding of the essence of hearsay evidence and its functional role during court proceedings. It becomes evident that the absence of clearly defined limits for its use in legislation creates substantial challenges in practice, leading to difficulties in interpretation and the potential for legal injustice.

In response, this thesis offers a practical proposal for incorporating the Constitutional Court's ruling into the Criminal Procedure Code of Georgia in a precise and effective manner. Although the decision is formally acknowledged in the existing legislation, a clear mechanism for its implementation is lacking.

Accordingly, the study presents a legal model designed to reflect constitutional standards while avoiding normative gaps. This recommendation aims to support the proper functioning of the justice system and the development of a consistent and harmonized judicial practice.

Keywords: Decision of the Constitutional Court of Georgia; Hearsay evidence; Nature of hearsay evidence.